

შპს MB Quest ჯორჯია


ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა


ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	14091	94244	165859
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1001550	674705	407327
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7	13417	10420	9662
მარაგები		0	0	0
მზა პროდუქცია		0	0	0
სხვა		0	0	0
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		68	69	815
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0	0
გადაფასების მოდელით		0	0	0
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები		0	0	0
ძირითადი საშუალებები	8	65751	60392	79974
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		1094877	839830	663637
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები		205	165	435
ანარიცხები	9	332221	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	0	200711	135411
საგადასახადო ვალდებულებები		28	0	161
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები	10	57653	39138	22428
სულ ვალდებულებები		390107	240014	158435
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	136160	136160	136160
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	568610	463656	369042
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		704770	599816	505202
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1094877	839830	663637
სულ მოკლევადიანი აქტივები		1029127	779432	583663
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		390107	240008	158435

დირექტორი:



/ ზინაბ ლულუნიშვილი /
20/10/2021წ.

ფინანსური მენეჯერი:



/ გურამ აკოფაშვილი /
20/10/2021წ.

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	12	2509011	2189093
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	12	2509011	2189093
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება		0	0
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		2509011	2189093
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3642	43
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	-2127537	-1853870
ცვლითა / ამორტიზაციის ხარჯი	8	-28018	-33861
საპროცენტო შემოსავალი		1368	2521
საპროცენტო ხარჯი		0	0
იჯარის ხარჯი	14	-116389	-121655
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	15	-83321	-87822
სულ საოპერაციო ხარჯები		-2350255	-2094644
საოპერაციო მოგება		158756	94449
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო	16	-35245	16862
სახსრების გადაფასებიდან		0	0
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		123511	111311
მოგების გადასახადის ხარჯი		-18557	-16697
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		104954	94614
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		0	0
გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახადილიანი პროგრამები)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		104954	94614
საკუთარი, კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		599816	505202
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის		0	0
შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი, კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		704770	599816

დირექტორი:

ბ. კოკოშვიძე

/ ზინაბ ლულუნიშვილი /
20/10/2021წ.

ფინანსური მენეჯერი:

ბ. კოკოშვიძე

/ გორამ აკოფაშვილი /
20/10/2021წ.

ფულადი სახსრების მოძრაობა


ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-18768	-80062
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-32009	-11763
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-50777	-91825
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-29376	20210
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	94244	165859
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	14091	94244

დირექტორი:



/ ზეინაბ ღულუნიშვილი /
20/10/2021წ.

ფინანსური მენეჯერი:



/ გურამ აკოფაშვილი /
20/10/2021წ.

შენიშვნები 5-13 გვერდებზე წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს MB Quest ჯორჯია-ს (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია 2013 წლის 06 აგვისტოს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ფაქტიური მისამართია - თბილისი, ფალიაშვილის ქ. N83.

კომპანიის შევსებული კაპიტალი არის 136,160 ლარი. კომპანიის დამფუძნებელია შპს MB Quest, აშშ (100%).

კომპანია ახორციელებს კლინიკური კვლევების სფეროში საკონსულტაციო საქმიანობას, კერძოდ, საქართველოში კლინიკური კვლევების ორგანიზებას და ასევე საზღვარგარეთ მიმდინარე კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ახალი კორონავირუსის (ე.წ. COVID-19) ეპიდემიას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ფინანსურ ვალდებულებებს თავდაპირველად აღიარებს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, გარდა ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ ჩეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას. თუ შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას არიარებს მომავალი გადახადებების დისკონტირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღიარება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს შემდეგნაირად:

- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.
- სხვა კლასიფიცირებული სავალო ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. გაუფასურების შედეგი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება გაუფასურების აღირების შემდგომ წარმოშობილი მოვლენის შედეგად, კომპანია უკუგატარებით აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილ გაუფასურების ზარალს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; ბ) ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა სხვა პირს; გ) კომპანია სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც ცალმხრივად და დამატებითი შეზღუდვების გარეშე შეუძლია აქტივი მთლიანად გაყიდოს არადაკავშირებულ

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ღარში)

მხარეზე. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს დაფარული ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ანაზღაურებას შორის სხვაობას.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს დაფარული ან სხვა მხარისთვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის სხვაობას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომლიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველაწარირი ფასდათმობა. კომპანია ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს აქტივის გამოყენების უფლების გადაცემას, იმის მიუხედავად, თუ ამგვარი აქტივის ექსპლოატაციის, ან ტექნიკური მომსახურებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს მეიჯარის მიერ მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევა.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

ჩვეულებრივი იჯარის დროს კომპანია, იჯარის ვადის განმავლობაში, საიჯარო გადასახდელებს აღიარებს ხარჯად, წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის/შექმნის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდათმობა გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის/შექმნის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისას კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს ისეთი საინვესტიციო ქონების მიმართ, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე. თვითღირებულების მოდელის მიხედვით, ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალება, რომლის ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, აისახება გადაფასების მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდება „გადაფასების ნამეტი“. ამასთან, მოგებაში ან ზარალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული თანხა იმ ოდენობით, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა. თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში აღიარდება. ამასთან, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ პოზიციაში დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა და ამორტიზაცია

ცვეთა და ამორტიზაცია გრძელვადიან აქტივებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა	36-48 თვე
ოფისის აღჭურვილობა	36-60 თვე
ავეჯი	60 თვე
იჯარით აღებული ქონების	48-60 თვე (საიჯარო ხელშეკრულების ვადის
კეთილმოწყობა	გათვალისწინებით)
არამატერიალური აქტივები	60 თვე

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება მესაკუთრეებზე გასანაწილებელი მოგების მიღება.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. საკუთარი კაპიტალი მოიცავს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას (შენატანები), პლუს ამ ინვესტიციის მატება მიღებული კომპანიის მოგებიანი საქმიანობიდან, რომელიც კომპანიაში დარჩა საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დივიდენდები

დივიდენდების სახით აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას განაწილებული თანხის ოდენობით. დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოაკლდება კაპიტალს ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული მისაღები ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის მომსახურების გაწევა.

შემოსავალი საკონსულტაციო მომსახურებიდან

საკონსულტაციო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, მოცემული თვის განმავლობაში მიწოდებული მომსახურების მოცულობის შესაბამისად. შემოსავალი, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სისტემაში, ჯანმრთელობის დაზღვევისთვის გადახდილი ან გადასახდელი პრემია, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სარგებლის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

იჯარის მოქმედების ვადა

როდესაც კომპანიას აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობა აფასებს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება საიჯარო ქონების შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება იჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობის სასარგებლო მომსახურების ვადის განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება იჯარის მოქმედების ვადასთან და მის შესაძლო გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია შესაძლოა დადოს გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადები

კომპანიამ იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საექსპლუატაციო ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება, იჯარის მოქმედების ვადა და მისი გაგრძელების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტმა განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები აქტივებში განივებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,058	94,227	165,794
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	21	5	53
ეროვნული ვალუტა სალაროში	12	12	12
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	14,091	94,244	165,859

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარიცხო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
დებიტორული დავალიანება არარეზიდენტი იურიდიული პირი კლიენტების მიმართ	1,001,550	674,705	407,327
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,001,550	674,705	407,327

7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ოფისის იჯარისთვის გადახდილი ავანსი	8,527	8,527	8,527
ავანსად გადახდილი სადაზღვევო პრემია	1,036	1,009	1,013
კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე გადახდილი ავანსი	2,766	-	-
სხვა ავანსები	1,088	884	122
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,417	10,420	9,662

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი, 2018	100,367	51,688	8,861	160,916
შეძენა	10,887	3,396	-	14,283
ჩამოწერა	(34,287)	(-16,294)	-	(50,131)
31 დეკემბერი, 2019	76,968	38,789	8,861	124,618
შეძენა	15,090	18,287	-	33,377
ჩამოწერა	(35,557)	(668)	-	(34,573)
31 დეკემბერი 2020	56,501	56,408	8,861	121,771

აკუმულირებული ცვეთა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი, 2018	54,247	24,370	2,325	80,942
ცვეთა წლის მანძილზე	25,765	6324	1,772	33,861
ჩამოწერა	(35,268)	(15,309)	-	(50,577)
31 დეკემბერი, 2019	44,744	15,385	4,097	64,226
ცვეთა წლის მანძილზე	20,516	5730	1,772	28,018
ჩამოწერა	(37,814)	1589	-	(36,225)
31 დეკემბერი, 2020	27,446	22,704	5,869	56,020

წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი, 2019	35,224	23,404	4,764	60,392
31 დეკემბერი, 2020	29,055	33,704	2,992	65,751

9. ანარიცხები და ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ

ანარიცხები და ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
დარიცხული (გამოუყენებელი)	332,221	200,711	135,411
საშვებულებო ანაზღაურება			
სულ ანარიცხები და ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	332,221	200,711	135,411

10. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები ძირითადად მოიცავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომლის გადახდის ვადა საანგარიშგებო პერიოდში არ დამდგარა.

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
დამფუძნებლის მიერ შევსებული კაპიტალი	136,160	136,160	136,160
გაუნაწილებელი მოგება	568,610	463,656	369,042
სულ კაპიტალი	704,770	599,816	505,202

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2020, 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

12. ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან

კომპანია ახორციელებს კლინიკური კვლევების ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც გამოიმუშავებს შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან. ნეტო ამონაგებმა კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებიდან 2020 წელს შეადგინა 2,509,011 ლარი, ხოლო 2019 წელს 2,189,093 ლარი.

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასები და პრემიები	1,902,184	1,619,349
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯები (ბენეფიტები)	48,592	42,660
საშვებულებო ანაზღაურება	176,760	191,861
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,127,537	1,853,870

14. იჯარის ხარჯი

კომპანიას იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი მისამართზე თბილისი, ფალიაშვილის ქ. N83. საიჯარო ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით. საიჯარო ქირამ 2020 წელს შეადგინა 116,389 ლარი, ხოლო 2019 წელს 121,655 ლარი. 2020 წელს საიჯარო ქირის შემცირება განაპირობა COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით მეიჯარესთან შეთანხმებულმა შეღავათმა.

15. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
--	------	------

შპს MB Quest ჯორჯია

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საკონსულტაციო ხარჯები	21,252.88	19,966.26
ინვენტარზე და ოფისის მოვლაზე გაწეული ხარჯები	19,325.22	27,131.22
კომუნიკაციის ხარჯები	24,987.20	25,745.86
ოფისის დაცვის ხარჯი	1,268.00	1,310.00
ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევა	1,552.96	1,539.96
სამივლინებო ხარჯი	2,353.79	32.20
ქონების გადასახადი	629.00	698.00
სხვა ხარჯები	11,951.95	11,398.50
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	83,321	87,822

16. მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

კურსთაშორისი სხვაობიდან მოგება/(ზარალი) 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საკუროს მოგება	94,940	32,120
საკუროს ზარალი	(59,694)	(15,338)
სულ მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	4,126	1,502

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 10 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.